



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 84

20/11/2017

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ევროპული საქართველო“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30 მუხლის, და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 35-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, სამანდატო დროებითი კომისიის 2017 წლის 20 ნოემბრის №2 დასკვნის საფუძველზე საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული სამანდატო დროებითი კომისიის 2017 წლის 20 ნოემბრის №2 დასკვნა ფრაქცია „ევროპული საქართველო“-ს დაფუძნების შესახებ და ფრაქცია გატარდეს რეგისტრაციაში.

მუხლი 2. განკარგულება ჩაბარდეს ტარიელ ფანჩულიძეს ფრაქცია „ევროპული საქართველო“ თავმჯდომარეს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო